ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №932841

ნომერი: AR1166754

თარიღი : 04.10.2013

გაცემის თარიღი : 17.10.2013

გაცნობის თარიღი : 24.10.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გუდამაყარი , N 4 , (ნაკვ. 05/007) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი კვერღელიძე პ/ნ 33001039480
- ოზურგეთი, სოფ.ოზურგეთი

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

გადაწყვეტილება

საპროექტო ობიექტი: საშუალო წნევის გაზსადენი მილი (კატეგორია II, კლასი IV);

გაზსადენი მილის საპროექტო ტრაექტორია: ქ.თბილისი, გუდამაყრის ქუჩა #4–ის მიმდებარედ;

– გაზსადენი მილის გაყვანა განხორციელდეს მიწისქვეშა განთავსების პრინციპით;

– გაზსადენი მილის გაყვანა მოხდეს ტექნიკური პირობების დაცვით წარმოდგენილი სქემის შესაბამისად;

- ობიექტის სპეციფიკაციიდან გამომდინარე გათვალისწინებულ იქნეს თანამედროვე, ეკოლოგიურად უსაფრთხო მიდგომებისა და ტექნოლოგიების გამოყენება;

– დაცული იქნეს გაზის მეურნეობაში მოქმედი ნორმების და წესების ინსტრუქციები;

- დაცული იქნეს საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ შენობა–ნაგებობებთან გაზსადენი მილის დაცილების ნორმები;

–საპროექტო ტერიტორიაზე სხვა ხაზოვანი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში დაცული იქნეს გაზსადენი მილის განთავსების ნორმები, ხოლო მათი გადაკვეთის შემთხვევაში საკითხი შეთანხმდეს შესაბამის სამსახურებთან ან მფლობელებთან.

პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილ იქნეს შემდეგი სამსახურების თანხმობები:

-საჭიროებისამებრ ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურიდან;
- ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურიდან;
– ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან;
–საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროდან;
- ინფორმაცია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების თაობაზე აქტის რეკვიზიტების მითითებით;
- ტოპოგეგმა (მ 1:500), სადაც ნაჩვენები იქნება მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრები და არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელები (ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ);
– საინჟინრო კომუნიკაციების არსებობის შემთხვევაში, დაცულ იქნეს სამშენებლო ნორმები; გადატანის შემთხვევაში ცნობა შესაბამისი სამსახურებიდან;

მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს:

- მშენებლობის ორგანიზების პროექტი (მხოლოდ უნდა მოიცავდეს მშენებლობის განხორციელების გრაფიკს მშენებლობის ეტაპების ხანგრძლივობის გათვალისწინებით);
- საინფორმაციო აბრის (ბანერის) ფოტოსურათები (გადაღებული ახლო და შორი მანძილიდან);

–წარმოდგენილი იქნეს იმ მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა თანხმობები (მათ შორის ქ. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს), რომლებსაც კვეთს საპროექტო ხაზოვანი ნაგებობა.

მშენებლობის დაწყებამდე დამკვეთმა სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლარი და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით შემდეგი დოკუმენტაცია:

ა. საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;

გ. სავალდებულო საექსპერტო შეფასება საპროექტო ობიექტის კლასიდან გამომდინარე;
ე. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;

საპროექტო ტერიტორია კეთილმოეწყოს და გამწვანდეს;

–შენარჩუნებული იქნეს საპროექტო მონაკვეთის მიმდებარედ არსებული ხე–ნარგავები, ხოლო მათი მოჭრის ან გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში საკითხი შეთანხმდეს ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურთან;

ობიექტის პროექტში გათვალისწინებული იქნეს:

- გათვალისწინებულ იქნეს გარემოსდაცვითი და სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნები;

–წარმოდგენილი და გათვალისწინებული იქნეს საქ. ნავთობის და გაზის კორპორაციის/შპს „ყაზტრანსგაზ თბილისი“–ს მიერ გაცემული ტექნიკური პირობები

მშენებლობის ნებართვა გაიცემა ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების შესაბამისად.
მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველი სტადია – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ძალაშია მისი გაცემის თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში.

გამომდინარე იქიდან, რომ საპროექტო ობიექტი განეკუთვნება II კატეგორიის ხაზობრივ ნაგებობას პროექტის შეთანხმებისათვის ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის დამკვეთი-მენაშენე ვალდებულია ტექ-დოკუმენტაცია დაამუშაოს და წარმოადგინოს ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ”” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მუხლი #48 და მუხლი #77 განსაზღვრული შემადგენლობით და მოცულობით;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.